

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

ქახაბერ კაციტაძე

გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში

დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2001

ლექცია 3.

ნატო-სა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციების დახასიათება

ნატო-ს შექმნის პოლიტიკური პირობები

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ კაცობრიობას ნანატრი მშვიდობა ვერ მოუტანა. ჯერ კიდევ ქუხდნენ ზარბაზნები, როდესაც პოლიტიკოსებმა ახალ ომზე, ამჯერად „ცივ ომზე" დაიწყეს ფიქრი. მეორე მსოფლიო ომის შედეგად საბჭოური იმპერია არნახულად მომძლავრდა. ნახევარი ევროპა საბჭოთა კონტროლქვეშ აღმოჩნდა. ცნობილი რუსი მეცნიერი, რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს ყოფილი მდივანი ანდრეი კოკოშინი ასე ახასიათებდა მაშინდელ სიტუაციას: „მსოფლიო პოლიტიკაში ესოდენ გიგანტურად რუსეთი არასდროს გაძლიერებულა, თვით პეტრე პირველის დიდების ხანაში, არც ეკატერინე მეორის და იმის შემდეგაც კი, რაც ნაპოლეონი განადგურდა და რუსების ჯარებმა 1814 წელს პარიზი დაიკავეს". ომის შედეგად გაჩანაგებულ ევროპას საფრთხე დაემუქრა. მეორე მსოფლიო ომმა მოშალა ევროპის სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობა. ეკონომიკურმა კრიზისმა (რაც ყოველთვის თან სდევს იმ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც საბრძოლო მოქმედება მიმდინარეობს) ხელი შეუწყო ევროპაში პოპულისტურად ორიენტირებული კომუნისტური პარტიების წარმატებას. იტალიასა და საფრანგეთში შეიქმნა რეალური საფრთხე კომუნისტების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა, თანაც ეს ყველაფერი ხორციელდებოდა მაშინ, როდესაც გერმანული არმია აღარ არსებობდა. იმპერიის შენარჩუნების სურვილით გამოწვეულ სამხედრო ავანტურებში ჩართულ ინგლისსა და საფრანგეთს უჭირდა თავისი წვლილი შეეტანა ევროპის თავდაცვისუნარიანობაში, ხოლო დასავლეთ ევროპას წითელი არმიის „ურდოები" ემუქრებოდნენ. ამგვარი შუქარის თავიდან ასაცილებლად დასავლეთის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს შეექმნათ სამხედრო პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ჩრდილო ატლანტიკის თავდაცვითი ორგანიზაცია (ინგლისურად – North Atlantic Treaty Organozation (NATO) ეწოდა.

1949 წელს 4 აპრილს ვაშინგტონში შეკრებილმა აშშ-ს, კანადისა და ათი ევროპული სახელმწიფოს (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ისლანდია) წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაარსების შესახებ. ამასთან, საგულისხმოა, რომ ***ხელშეკრულება დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა დადეს იმ მიზნით, რათა მასში განსაზღვრული დებულებები მკაცრ ჩარჩოებში შეხრულებულიყო.***

ხელშეკრულების პირველი მუხლები ახდენდა სახელმწიფოების ერთგულების დეკლარირებას გაერო-ს წესდებისადმი. მასში აღინიშნა, რომ ნატო იქმნება აგრესიისადმი კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, რაც ყოველმხრივ შეესაბამებოდა გაერო-ს წესდების სათანადო მუხლებს. ხელშეკრულების მე-4 მუხლი ითვალისწინებდა კონსულტაციებს იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე სახელმწიფოს „ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან უშიშროებას საფრთხე დაემუქრებოდა“. მე-5 მუხლი განსაზღვრავდა, რომ ხელშეკრულების წევრ ერთ ან რამდენიმე ქვეყნაზე თავდასხმა განიხილებოდა „როგორც თავდასხმა ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოზე“. ამასთან, ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოები „იმ მხარეს ან მხარეებს, რომელმაც თავდასხმა განიცადა, სასწრაფოდ დაეხმარებიან ინდივიდუალურად ან ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებთან შეთანხმების საფუძველზე“. საჭიროების შემთხვევაში ამგვარ დახმარებას შეიძლება შეიარაღებული ძალების გამოყენებაც მოჰყოლოდა.

მეექვსე მუხლი განსაზღვრავდა **ჩრდილოატლანტიკური** ხელშეკულების მოქმედების არეალს. იგი **მოიცავდა ხელშეკრულების** მონაწილე სახელმწიფოთა **ტერიტორიასა და კუნძულებს** „ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში **კირჩხიბების ტროპიკის** ჩრდილოეთით“, ხმელთაშუა ზღვას, **აგრეთვე იმ რაიონებს**, სადაც იმყოფებოდა ხელმომწერ სახელმწიფოთა **საოკუპაციო ჯარები** (1955 წლამდე ასეთი რაიონები იყო დასავლეთ **გერმანია**, **დასავლეთ** ავსტრია და დასავლეთ ბერლინი, 1955 **წლიდან** – **დასავლეთ** ბერლინი).

ხელშეკრულება ჩრდილოატლანტიკური **კავშირის** შესახებ განუსაზღვრელი ვადით დაიდო. ხელშეკრულების **მე-13 მუხლში** აღინი-

შნა, რომ ყოველ მონაწილეს აქვს უფლება მისი ძალაში შესვლიდან 20 წლის შემდეგ უარი თქვას ხელშეკრულებაზე და გამოვიდეს ნატო-დან შეტყობინებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

1952 წელს ნატო-ს შეუერთდა საბერძნეთი და თურქეთი, 1955 წელს – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო 1982 წელს – ესპანეთი. 1966 წელს საფრანგეთი გამოვიდა ნატო-ს ინტეგრირებული სამხედრო ორგანიზაციიდან. საფრანგეთი მოითხოვდა ევროპაში ამერიკის შეიარაღებული ძალებისა და ნატო-ს გაერთიანებული ჯარების შტაბები გაეტანათ მისი ტერიტორიიდან (მანამდე ისინი პარიზში იმყოფებოდნენ). ამერიკელებმა მოთხოვნა შეასრულეს.

ნატო-ს ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანოები

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა **ნატო-ს საბჭო** (შტაბბინა მდებარეობს ქ. ბრიუსელში), რომელიც განიხილავს ორგანიზაციის წინაშე მდგომ პოლიტიკურ პრობლემებს. საბჭო, როგორც წესი, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მუშაობს. მასში მონაწილეობენ თავდაცვის, ფინანსთა, ეკონომიკისა და ზოგიერთი სხვა მინისტრები. უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მისაღებად საბჭო შეიძლება მოწვეულ იქნეს მთავრობათა ხელმძღვანელების დონეზეც.

ნატო-ს საბჭოს სესია მოიწვევა წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და ზამთარში. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება რიგგარეშე და საგანგებო სხდომებიც მოეწყოს.

ნატო-ს საბჭოს სესიაზე განიხილება ორგანიზაციის პოლიტიკური საქმიანობის საპროგრამო საკითხები, ფასდება სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სხვადასხვა რაიონებში, განიხილება ურთიერთობა ნატო-ს წევრ-სახელმწიფოებს შორის, იგეგმება ღონისძიებანი ორგანიზაციის განსამტკიცებლად. სესია შეიმუშავებს რეკომენდაციებს წევრ-სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ნატო-ს სესიაზე ხდება სამუშაო ორგანოების (კომიტეტები, სააგენტოების, ჯგუფების) საანგარიშო მოხსენებების მოსმენა.

ნატო-ს საბჭო წესით ყოველწლიურად ირჩევს თავმჯდომარეს სხდომაში მონაწილე საგარეო საქმეთა მინისტრებიდან. თავმჯდომარე ოფიციალურად ხსნის და ხურავს სესიის სხდომას. სესიას თავმჯდომარეობს ნატო-ს გენერალური მდივანი.

სამხედრო-პოლიტიკური და ზოგადი ხასიათის სამხედრო საკითხების გადასაწყვეტი ხელმძღვანელი ორგანოა **სამხედრო დაგეგმ-**

ვის **კომიტეტი**. იგი მუშაობს მასში მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების დონეზე. საფრანგეთი არ მონაწილეობს კომიტეტის მუშაობაში. ისლანდიას, რომელსაც არ გააჩნია შეიარაღებული ძალები და, შესაბამისად, არც თავდაცვის მინისტრი ჰყავს, კომიტეტის მუშაობაში მისი სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს. სამხედრო დაგეგმის კომიტეტის უფლებამოსილება ამ საკითხებში ანალოგიურია იმისა, რომელიც ნატო-ს საბჭოს აქვს პოლიტიკის სფეროში. კომიტეტის გადაწყვეტილებები დირექტიულ ხასიათს ატარებენ.

მინისტრების დონეზე კომიტეტის სხდომა ტარდება წელიწადში ორჯერ: გაზაფხულსა და ზამთარში. კომიტეტის თავმჯდომარეა ნატო-ს გენერალური მდივანი. თუ საჭიროება მოითხოვს, იგი წყვეტს კომიტეტის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ამტკიცებს სამხედრო პოტენციალის ამაღლებისათვის განკუთვნილ ღონისძიებებს, განსაზღვრავს ნატო-ს შეიარაღებული ძალების სტრატეგიასა და მისი გამოყენების პრინციპებს, იძლევა სამხედრო პარჯებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის სესიებს შორის მის ფუნქციებს ახორციელებს **სამხედრო დაგეგმვის მუდმივი კომიტეტი**. მის შემადგენლობაში შედიან ნატო-ს სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლები. კომიტეტი შეიქმნა 1966 წელს, საფრანგეთის ნატო-ს სამხედრო ორგანიზაციიდან გასვლის შემდეგ იგი ბრიუსელშია მოთავსებული.

ნატო-ს საბჭოსა და სამხედრო დაგეგმვის კომიტეტს ექვემდებარება **ნატო-ს საერთაშორისო სამდივნო**, აგრეთვე დიდი რაოდენობით მუდმივი და დროებითი კომიტეტები, სააგენტოები და ჯგუფები. ისინი ექვემდებარებიან სათანადო სამხედრო თუ პოლიტიკურ უწყებებს. კომიტეტები, რომლებიც წყვეტენ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საკითხებს, ორმაგ დაქვემდებარებაშია.

დღესდღეობით ნატო ითვლის ოცზე მეტ მუდმივ კომიტეტს. ისინი ახდენენ პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური და სხვა სახის ღონისძიებათა კოორდინაციას. პოლიტიკურ და ეკონომიკურ მრჩეველთა კომიტეტები ამზადებენ ყოველწლიურ მოხსენებებს. არსებობს კულტურის, ინფრასტრუქტურის, სამოქალაქო ბიუჯეტის, სამხედრო ბიუჯეტის, მილსადენების, მეცნიერებათა საკითხების, თანამედროვე საზოგადოების კომიტეტები, ხოლო სამოქალაქო სფეროში განსაკუთრებული გეგმების შემუშავების მთავარი კომიტეტი, შეიარაღების საკითხთა საკონსულტაციო საბჭო და სხვა ორგანოები.

ბირთვულ იარაღთან და ბირთვულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ საკითხებს ნატო-ში განიხილავს ბირთვული თავდაცვის კომიტეტი, რომელიც 1966 წელს შეიქმნა. კომიტეტში შედის 12 სახელმწიფო (არ შედიან საფრანგეთი, ესპანეთი, ისლანდია და ლუქსემბურგი). ეს კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება სამხედრო დაგეგმვის კომიტეტს. ეს უკანასკნელი ამტკიცებს ბირთული თავდაცვის კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. იგი იკრიბება წელიწადში ორჯერ.

კომიტეტის საშუაო ორგანოს წარმოადგენს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც ბირთული თავდაცვის კომიტეტის სესიებს შორის უძღვება ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. ჯგუფში შედიან 7 სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრები. მათგან ოთხი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და იტალია) ჯგუფის მუდმივი წევრია. სამ ადგილს როტაციის წესით იკავებენ კანადის, ბელგიის, ჰოლანდიის, დანიის, ნორვეგიის, საბერძნეთისა და თურქეთის წარმომადგენლები. ჯგუფი ამზადებს მოხსენებებს, რომლებშიც განხილულია ტაქტიკური ატომური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. ჯგუფის მოხსენებები განიხილება ბირთვული თავდაცვის კომიტეტის მიერ, რომელიც მოხსენებებს საბოლოო დამტკიცებისათვის წარუდგენს სამხედრო დაგეგმის კომიტეტს. ბირთვული თავდაცვის კომიტეტისა და ბირთვული დაგეგმის ჯგუფის სხდომებს თავმჯდომარეობს ნატო-ს გენერალური მდივანი.

ნატო-ს პოლიტიკურ ორგანოებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **სამოქალაქო სფეროში განსაკუთრებული გეგმების შეშუშავების მთავარ კომიტეტს**. მის შემადგენლობაში შედის ათამდე სხვადასხვა კომიტეტი, რომლებიც დაკავებული არიან ტრანსოკეანური და ევროპის ტერიტორიაზე გადაზიდვებით, ნავთობის რესურსების დაგეგმვით, სამოქალაქო თავდაცვის საკითხებითა და ა.შ.

ბოლო წლებში გააქტიურდა შეიარაღებასთან დაკავშირებული საკითხების საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა. მის შემადგენლობაში შექმნილია ხუთი ჯგუფი, რომელიც იხილავს სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღების პრობლემებს, აგრეთვე სამხედრო სფეროში საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი საშუაოების ჩატარებას. საბჭოს შემადგენლობაში შედის აგრეთვე სამხედრო-სამრეწველო ჯგუფი. იგი ამზადებს მოხსენებებს, რომელიც მოიცავს დასახელებულ საკითხებს. ამ მოხსენებათა საფუძველზე საბჭო ამტკიცებს სათანადო რეკომენდაციებს.

ნატო-ს აღმასრულებელი ორგანოა **საერთაშორისო სამდივნო**. მასში

შედის რამდენიმე სამმართველო (პოლიტიკური, საფინანსო-ეკონომიკური, სამრეწველო, ზურგისა და ინფრასტრუქტურის, სამხედრო-სამეცნიერო საკითხების). მის შემადგენლობაშია აგრეთვე ფინანსური კონტროლის ჯგუფი, ადმინისტრაციული საკითხებისა და პირადი შემადგენლობის ბიუროები და კანცელარია.

საერთაშორისო სამდივნოს მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი. სამდივნოს მუშაობასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხების გარდა, იგი ხელმძღვანელობს სამხედრო დაგეგმის კომიტეტის, ბირთვული თავდაცვის კომიტეტისა და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფების მუშაობას. გენერალურ მდივანს ჰყავს მოადგილე. ყველა დასახელებული კომიტეტებისა და საბჭოების წარმომადგენლები ითვლებიან გენერალური მდივნის თანაშემწეებად.

ცხადად იკვეთება, რომ ნატო-ს უაღრესად განშტოებული, და ამასთან, განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურები გააჩნია. თუმცა მათი მუშაობა სულ რამდენიმე ძირითადს ემყარება. ნატო-ს უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური ორგანოები მუშაობენ წელიწადში ორჯერ, სესიების წესით წევრ ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე. სესიებს შორის ნატო-ს ყოველდღიურ მუშაობას უძღვებიან სხვადასხვა კომიტეტები, კომისიები და საბჭოები, რომლებიც შეიმუშავებენ რეკომენდაციებს სესიებზე დასამტკიცებლად. კომიტეტის შემადგენლობა მრავალეროვანია და განიცდის როტაციას, ისე, რომ არც ერთ წევრ ქვეყანას გული არ დასწყდეს. ამასთან, არ არსებობს არავითარი ნორმატიული აქტი, რომელიც წევრ-სახელმწიფოს აიძულებს მონაწილეობას ნატო-ს რომელიმე სტრუქტურაში. მაგალითად, ისეთი სოლიდური შეიარაღებული ძალების მქონე სახელმწიფოები, როგორიცაა ესპანეთი და საფრანგეთი საერთოდ არ მონაწილეობენ ნატო-ს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურებში.

ნატო-ს სამხედრო ორგანოები

ნატო-ს უმაღლესი სამხედრო ორგანოა **სამხედრო კომიტეტი,** რომელიც მუშაობს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის (ან გენშტაბის უფროსების) დონეზე. მუშაობაში არ მონაწილეობენ საფრანგეთი, ესპანეთი და ისლანდია. კომიტეტი მოთავსებულია ბრიუსელში.

ნატო-ს სხვადასხვა ქვეყანაში შეიარაღებული ძალების სარდლობის სხვადასხვა სისტემა არსებობს. იტალიაში, ინგლისსა და

თურქეთში შეიარაღებული ძალების სარდლის მოვალეობას ასრულებს უმაღლესი სამხედრო შტაბის უფროსი, ხოლო ბელგიაში, გერმანიასა და ჰოლანდიაში სპეციალურად გამოყოფილი პირი, მთავარსარდალი, რომელსაც ემორჩილება უმაღლესი შტაბი (უმაღლესი მთავარსარდალი ყველგან სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურია).

სხდომა ტარდება წელიწადში ორჯერ, ზამთრობითა და გაზაფხულზე. კომიტეტის სხდომაზე განიხილება ბლოკის სამხედრო მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები. სესიებს შორის ნატო-ს კომიტეტის სხდომას ხელმძღვანელობს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც როტაციის წესით ერთი წლით ირჩევენ ნატო-ს წევრ-სახელმწიფოების წარმომადგენლებიდან.

კომიტეტის სესიების შორის ნატო-ს სამხედრო საქმიანობას ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედი სამხედრო კომიტეტი, რომელშიც შედიან წევრ-სახელმწიფოთა მთავარი შტაბების წარმომადგენლები. სამხედრო კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოა **საერთაშორისო გაერთიანებული შტაბი**, რომელშიც რამდენიმე სამმართველო შედის და რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდების მქონე შტაბის უფროსი. ეს უკანასკნელი ორი წლით ინიშნება რიგრიგობით ნატოს წევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან.

შტაბი ახდენს ნატო-ს გაერთიანებული სარდლობების მუშაობის კოორდინაციას, განიხილავს შეიარაღებულ ძალთა პერსპექტიულ მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, გეგმავს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების გამოყენების სტრატეგიასა და ტაქტიკას, აკონტროლებს სამხედრო მშენებლობის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

მუდმივმოქმედ სამხედრო კომიტეტს ექვემდებარება სამხედრო სტანდარტიზაციის კომიტეტი, აერონავტიკის საკითხთა საკონსულტაციო საბჭო, კავშირის საკითხთა ბიურო და ნატო-ს სამხედრო კოლეჯი. ეს უკანასკნელი რომში მდებარეობს და ამზადებს კადრებს ნატო-ს უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ორგანოებისათვის. კოლეჯში სწავლის ხანგრძლივობა 23 კვირაა.

ყოველწლიურად კოლეჯს ამთავრებს 120 ადამიანი, რომელთა 75 პროცენტს შეადგენს პოლკოვნიკისა და ვიცე-პოლკოვნიკის წოდების მქონე სამხედროები, ხოლო დანარჩენს ნატო-ს წევრ-სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების ის წარმომადგენლები, რომელებიც თავიანთი საქმიანობით უკავშირდებიან ნატო-ს ხელმძღვანელ ორგანოებს. სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. სასწავლო პროცესს კოლეჯის პროფესორ-

მასწავლებლების გარდა, უძღვებიან ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები.

სასწავლო პროგრამა მოიცავს სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ, სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საკითხებს. კურსების ძირითადი ამოცანაა მოამზადოს მსმენელები სამხედრო-ანალიტიკურ სფეროში სამუშაოდ.

კოლეჯის ტიპური კურსი შეიცავს შემდეგ საგნებს: საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლები, ნატო-ს საფუძველმდები დოკუმენტები, სტრატეგია, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობა, ნატო-სა და ვარშავის ხელშეკრულების (ამ უკანასნელის არსებობის დროს) სამხედრო, ეკონომიკური და სხვა სახის პოტენციალები, შეიარაღებაზე კონტროლის საკითხები, ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა უშიშროების პოლიტიკაზე და სხვა საკითხები. კოლეჯში მუშაობა სემინარულია. იგი ხორციელდება რვა სამუშაო ჯგუფში, რომელთაგან თითოეულში 7-8 მსმენელი შედის. ამასთან, ჯგუფები ისეა შერჩეული, რომ მათში სხვადასხვა ეროვნების მსმენელნი შედიან. ნატო-ს ექსპერტების აზრით, ეს ხელს შეუწყობს მსმენელთა მიერ მომავალში ნატო-ს ერთობლივ ორგანოებში გადაწყვეტილებათა სწრაფად მიღებას.

ნატო-ს გამრთიანებული სარდლობები

ის სივრცე, რომელზეც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების თანახმად ვრცელდება ნატო-ს მოქმედების ზონა, იყოფა ომისა და სამხედრო მოქმედებათა თეატრებად. ომის თეატრი ეს არის ხმელეთის, ზღვის ან საჰაერო სივრცის რაიონი, რომელიც შეიძლება უშუალოდ იქნეს მოცული საბრძოლო მოქმედებებით. ნატო-ში გამოყოფენ ომის ორ თეატრს — ევროპულსა (მასზე პასუხისმგებელია ნატო-ს სტრატეგიული სარდლობა ევროპაში) და ატლანტიკურს (პასუხისმგებელია ნატო-ს სტრატეგიული სარდლობა ატლანტიკაზე).

ტერმინს — „საბრძოლო მოქმედებათა თეატრს“ დასავლურ სტრატეგიაში ორგვარი მნიშვნელობა აქვს: სამხედრო-გეოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული. გეოგრაფიული მნიშვნელობით საბრძოლო მოქმედებათა თეატრი, როგორც წესი, წარმოადგენს ომის თეატრის ნაწილს და გაიაზრება, როგორც გარკვეული ტერიტორია (მიმდებარე წყლებითა და საჰაერო სივრცით), რომლის ფარგლებშიც მოქმედებს დაჯგუფება და მის წინაშეც სტრატეგიული მიზნებია დასახული. ჩვეულებრივ გეოგრაფიული მნიშვნელობით გააზრებულ

სამხედრო მოქმედებათა თეატრს ერთი ან რამდენიმე სტრატეგიული და ოპერატიული მიმართულება გააჩნია.

ნატო-ს ხელმძღვანელობა საბრძოლო მოქმედებათა თეატრს ცალ-ცალკე საზღვრავს მშვიდობიანი და საომარი ვითარებებისათვის. მშვიდობიანობის თეატრი მოიცავს მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელზეც განლაგებულია მოცემული დაჯგუფება. ომიანობისას სამხედრო მოქმედებათა თეატრის ცნება ფართოვდება და მოიცავს ყველა იმ სახელმწიფოს (მათ შორის ნეიტრალურებს) ტერიტორიას, რომლებზეც შეიძლება გავრცელდებს საბრძოლო მოქმედება.

სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით ტერმინი — „საბრძოლო მოქმედებათა თეატრი" გულისხმობს შეიარაღებულ ძალთა სტრატეგიულ დაჯგუფებას, რომელიც თავმოყრილია ამა თუ თეატრის (ამ სიტყვის გეოგრაფიული გაგებით) ტერიტორიაზე. უფრო ზუსტად, გეოგრაფიულად გააზრებული საბრძოლო მოქმედებათა თეატრი მოიცავს გარკვეულ ტერიტორიას, ხოლო სამხედრო-სტრატეგიულად გააზრებული, ამ ტერიტორიაზე განლაგებულ დაჯგუფებას. სამხედრო მოქმედებათა თითოეულ თეატრზე განლაგებულ ყოველ დაჯგუფებას გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურა გააჩნია, რომელიც მოიცავს სარდლობასა და შტაბს მათდამი დაქვემდებარებული ჯარებითა და მომარაგების ორგანოებით. სხვადასხვა თეატრზე სხვადასხვა რაოდენობის დაჯგუფებაა თავმოყრილი. ჯარების რაოდენობას განსაზღვრავს თეატრის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, იქ დისლოცირებული შეიარაღებული ჯარების წინაშე მდგომი ამოცანები, გეოგრაფიული პირობები და მოწინააღმდეგის დაჯგუფების შესაძლებლობები.

დასახლებული დაყოფა ომისა და საბრძოლო მოქმედების თეატრებად განსაზღვრავს ნატო-ს გაერთიანებული სარდლობების ხელმძღვანელ სტრუქტურებს. ნატო-ში არსებობს ოთხი ძირითადი სარდლობა:

1. **ატლანტიკაზე ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობა,** რომელიც მოიცავს ატლანტიკის ოკეანის ომის თეატრს კირჩხიბის ტროპიკიდან არქტიკამდე და ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ ევროპამდე. უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი განლაგებულია ნორფოლკში (აშშ).

2. **ნატო-ს უმაღლესი მთავარსარდლობა ევროპაში,** რომელიც მოიცავს ნატო-ს ევროპულ სახელმწიფოებსა (ინგლისისა და პორტუგალიის გარდა) და თურქეთს.

ნატო-ს უმაღლესი მთავარსარდლობა ევროპაში, ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში ერთადერთია, რომელსაც მშვიდობიანობის დროს

მზადყოფნაში ჰყავს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები. მთავარსარდლობის განკარგულებაშია გაერთიანებული შეიარაღებული ძალები, რომლებიც შედგება სახმელეთო ძალებისა და ავიაციის ნაწილებისაგან, ასევე შენაერთებისაგან, რომლებიც მთავარსარდლობის განკარგულებაშია გადაცემული ნატო-ს ცალკეული წევრის მიერ.

ნატო-ს უმაღლეს მთავარსარლობას ექვემდებარება მთავარი შტაბი, რომელიც პასუხს აგებს ნატო-ს შეიარაღებული ძალების მზადყოფნაზე საბრძოლო მოქმედებათა დაუყონებლივ საწარმოებლად. შტაბი დიდ ყურადღებას უთმობს შეიარაღებული ძალების ზურგისა და სამობილიზაციო კომპონენტების უზრუნველყოფას. გაერთიანებულ შტაბს ხელმძღვანელობს ამერიკელი გენერალი. შტაბის უფროსის მოადგილეა გერმანელი გენერალი, რომელიც პასუხს აგებს დაგეგმვასა და ოპერატიული საკითხების გადაწყვეტაზე. შტაბი მოთავსებულია ქ. კასტროში (ბრიუსელიდან 50 კმ-ზე).

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ვხო)

ნატო-ს შექმნას საბჭოთა ხელისუფლებამ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაარსებით უპასუხა. ხსენებული ორგანიზაცია შეიქმნა 1955 წლის 14 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების არსს გამოხატავდა მისი 54-ე მუხლი, რომლის თანახმად მის ერთ-ერთ წევრზე თავდასხმა განიხილებოდა როგორც თავდასხმა მთელ ორგანიზაციაზე (პრინციპში ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ნატო-ს შესაბამისი მუხლის პლაგიატი). ხელშეკრულების თანახმად შეიქმნა გაერთიანებული სარდლობა, რომლის სარდლადაც მარშალი იაკუბოვსკი დაინიშნა.

ვხო-ს ძირითად პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი, რომელშიც ფორმალურად წარმოდგენილი იყო ვხო-ს ყველა წევრი სახელმწიფო. პოლიტიკურ კომიტეტს ექვემდებარებოდა ვხო-ს გაერთიანებული შძ-ს სარდლობა. ფორმალურად სარდლობაში ყველა სახელმწიფო თანაბრად იყო წარმოდგენილი, თუმცა რეალურად ეს ორგანო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ინტერესს უფრო ემსახურებოდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს ორგანიზაცია უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს, საჭიროდ აღარ ვთვლით მისი სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის უფრო ვრცლად აღწერას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს ორგანიზაცია ნატოს-ს მსგავსად არ იყო მრავალეროვნული გაერთიანება და ის მხოლოდ საბჭოთა იმპერიის მოქმედების ინსტრუმენტად წარმოისახებოდა.

კითხვები:

1. რა პირობებში შეიქმნა ნატო?
2. ჩამოთვალეთ ნატო-ს ძირითადი ხელმძღვანელი სტრუქტურები.
3. ჩამოთვალეთ ნატო-ს სამხედრო ხელმძღვანელობის ძირითადი სტრუქტურები.
4. ჩამოთვალეთ ნატო-ს ძირითადი სარდლობები.
5. რა პირობებში შეიქმნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია?
6. ჩამოთვალეთ ვხო-ს ძირითადი ხელმძღვანელი სტრუქტურები.